სსიპ კონკურენციის სააგენტოს

2015 წლის ანგარიში

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია სააგენტოს შესახებ 3
2. 2015 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობები.....9
2.1. დასრულებული მოკვლევები.....12
2.2. განხილული კონცენტრაციები..... 26
2.3. ბაზრის მონიტორინგი..... 32
2.4. სახელმწიფო დახმარება..... 34
2.5. გაცემული რეკომენდაციები..... 35
2.6. სასამართლო დავები..... 43
3. საერთაშორისო ურთიერთობები 45
3.1. ევროკავშირთან თანამშრომლობა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში..... 46
3.2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოეთის კონკურენციის სააგენტოებთან თანამშრომლობა..... 47
3.3. კვალიფიკაციისა და ცნობიერების ამაღლება..... 55

1. ზოგადი ინფორმაცია სააგენტოს შესახებ

კონკურენციის სააგენტო წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიული პირს, რომელიც საქართველოში ახორციელებს კონკურენციის სახელმწიფო პოლიტიკას

<u>სააგენტო შეიქმნა:</u> 2014 წლის 14 აპრილს

<u>სააგენტო ამოქმედდა:</u> „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 და 6^1 პუნქტების შესაბამისად, 2014 წლის 1 ოქტომბრიდან

<u>თანამშრომელთა რაოდენობა 2015 წლის ბოლოსათვის</u>: **39** ერთეული

<u>2015 წლის ბიუჯეტი</u>: **1 900 000** ლარი

1. ზოგადი ინფორმაცია სააგენტოს შესახებ

სააგენტოს ანგარიშვალდებულება

კონკურენციის სააგენტო ანგარიშვალდებულია უშუალოდ საქართველოს პრემიერ - მინისტრის წინაშე

სააგენტო არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და საზოგადოებას წარუდგენს წლიურ ანგარიშს გაწეული საქმიანობისა და საქართველოს სასაქონლო/მომსახურების ბაზრებზე არსებული კონკურენტული გარემოს შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია სააგენტოს შესახებ

სააგენტოს საქმიანობის პრინციპები



1. ზოგადი ინფორმაცია სააგენტოს შესახებ

კონკურენციის სააგენტოს ფუნქციები (1)

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელება და ამ მიზნით შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავებისა და გამოყენების სრულყოფისათვის წინადადებების მომზადება

კონკურენციის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოსავლენად სასაქონლო და მომსახურების ბაზრების მონიტორინგი და ანალიზი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^1 მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის შემთხვევაში კონკურენციული ეფექტის სავალდებულო შეფასება, დასკვნის მომზადება და გაცემა

"კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონმდებლობის დაცვის კონტროლი, ამ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენა, განხილვა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება

1. ზოგადი ინფორმაცია სააგენტოს შესახებ

კონკურენციის სააგენტოს ფუნქციები (2)



1. ზოგადი ინფორმაცია სააგენტოს შესახებ

კონკურენციის კანონმდებლობის მიზანი

საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, კერძოდ:

- სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა
- ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა
- ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა
- ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა
- დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა
- სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობა, რომელიც იწვევს კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვას
- უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

2. 2015 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობები

ინფორმაცია სააგენტოში შემოსული განცხადებების/საჩივრების და სააგენტოს ინიციატივით დაწყებული მოკვლევების შესახებ



2. 2015 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობები

2015 წლის განმავლობაში შემოსული განცხადება/საჩივრის რაოდენობა - 10



- განცხადება/საჩივრის საფუძველზე დაწყებული მოკვლევის რაოდენობა - 5
- განცხადება/საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის რაოდენობა - 0
- განცხადება/საჩივრის დაშვებადობაზე გადაწყვეტილების მიღება გასცდა საანგარიშო პერიოდს - 1
- კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად მარეგულირებელ ორგანოებში გადაგზავნილი განცხადება/საჩივრის რაოდენობა - 5

2. 2015 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობები

2015 წელს სააგენტომ

- განიხილა 3 შეტყობინება მოსალოდნელი და ერთი განცხადება უკვე განხორციელებული კონცენტრაციის შესახებ
- დაასრულა 2014 წელს დაწყებული ყავის სასაქონლო ბაზრის მონიტორინგი
- დაიწყო სახელმწიფო დახმარების გაცემის შესახებ წარმოდგენილი განცხადების განხილვა
- დამტკიცდა „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპები“

2.1. დასრულებული მოკვლევები

განხორციელებულ იქნა 10 სასაქონლო ბაზრის მოკვლევა

2.1. დასრულებული მოკვლევები

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება	• განხორციელდა 4 მოკვლევა, არ დადასტურდა დარღვევის არც ერთი ფაქტი
კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება (კარტელი)	• განხორციელდა 3 მოკვლევა, დადასტურდა დარღვევის ერთი ფაქტი
სახელმწიფოს მხრიდან კონკურენციის შეზღუდვა	• განხორციელდა 3 მოკვლევა, დარღვევის ფაქტი დადასტურდა სამივე შემთხვევაში





2.1. დასრულებული მოკვლევები

წყალტუბოს თერმული წყლების ბაზრის მოკვლევა
(2015 წლის 4 მარტის №31 ბრძანება)

<u>**განმცხადებელი:**</u> სს „ჯანმრთელობა“

<u>**დავის საგანი**</u>**:** წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლების ბაზარზე **სს „ბალნეოსერვისი“-**ს მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის (დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) სავარაუდო დარღვევის ფაქტი

<u>**გადაწყვეტილება:**</u> არ დადასტურდა სს „ბალნეოსერვისი“-ს მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევა

<u>**რეკომენდაციები წარედგინა**</u> ლიცენზიის მფლობელ ეკონომიკურ აგენტს - სს „ბალნეოსერვის“-ს და სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს

2.1. დასრულებული მოკვლევები

„ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“-ს განცხადების საფუძველზე განხორციელებული საქმის მოკვლევა
(2015 წლის 30 მარტის №40 ბრძანება)

<u>**დავის საგანი:**</u> შემოსავლების სამსახურის მიერ ქ. ფოთში **საავტომობილო-საკონტეინერო ტვირთების სატერმინალო მომსახურების ბაზარზე** „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

<u>**დადგინდა**</u>: სსიპ შემოსავლების სამსახურის მხრიდან განმცხადებლის მიმართ **კონკურენციის შემზღუდველი ქმედების განხორციელების ფაქტი**, კერძოდ:

ა) კანონის **მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის** დარღვევა: შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია - ფოთი“-ს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისთვის ხელის შეშლა

ბ) კანონის **მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის** დარღვევა: საავტომობილო-საკონტეინერო ტვირთების სატერმინალო მომსახურების ბაზარზე **უპირატესობის მინიჭება** და **მონოპოლიური მდგომარეობის შექმნა შპს „ინლენდ კონტეინერ ტერმინალი"**-სთვის

2.1. დასრულებული მოკვლევები

,,ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“-ს განცხადების საფუძველზე განხორციელებული საქმის მოკვლევა
(2015 წლის 30 მარტის №40 ბრძანება)

<u>გადაწყვეტილება:</u>

შემოსავლების სამსახურს დაევალა ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტის აღმოფხვრა და ეკონომიკური აგენტებისათვის **თანაბარი კონკურენტული გარემოს შექმნის უზრუნველყოფა. შემოსავლების სამსახურის მიერ** კონკურენციის სააგენტოსათვის გონივრულ ვადაში უნდა მოხდეს გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

შემოსავლების სამსახურს წარედგინა **რეკომენდაციები** ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღებისათვის

2.1. დასრულებული მოკვლევები

შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის განცხადების საფუძველზე განხორციელებული საქმის მოკვლევა (2015 წლის 22 აპრილის №45 ბრძანება)

<u>**დავის საგანი**</u>: სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პირთა მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

<u>**დადგინდა:**</u> საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში შესყიდვის პირობად მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის მიერ შედგენილი შესაბამისობის დოკუმენტის წარმოდგენის მოთხოვნის შედეგად კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი

<u>**გადაწყვეტილება**</u>:

საქართველოს მთავრობას წარედგინა **რეკომენდაცია** შესაბამის ბაზარზე თანაბარკონკურენტული გარემოს დამკვიდრებისათვის

სსიპ - **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს** ეთხოვა სააგენტოს გადაწყვეტილების თაობაზე **შემსყიდველი ორგანიზაციების ინფორმირების განხორციელება**

2.1. დასრულებული მოკვლევები

ნავთობპროდუქტების სასაქონლო ბაზრის მოკვლევა

კონკურენციის სააგენტომ საკუთარი ინიციატივით დაიწყო **ნავთობპროდუქტების (ბენზინი, დიზელი, ნავთი)** სასაქონლო ბაზრის მოკვლევა.

მოკვლევის პროცესში ნავთობპროდუქტების ბაზრიდან გამოიყო **ორი შესაბამისი ბაზარი**:

ა) **საავტომობილო საწვავის სასაქონლო ბაზარი**

ბ) **საავიაციო ნავთის სასაქონლო ბაზარი**

2.1. დასრულებული მოკვლევები

საავტომობილო საწვავის (ბენზინი, დიზელი) სასაქონლო ბაზრის მოკვლევა
(2015 წლის 14 ივლისის №81 ბრძანება)

<u>**დადგინდა:**</u>

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის **მე-7 მუხლის** (შეთანხმებული ქმედება) **"ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტების დარღვევა**

<u>**დაკისრებული სანქციები:**</u>

შპს "ლუკოილ ჯორჯია"-ს, სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს, შპს "რომპეტროლ საქართველო"-ს, შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ"-ს, შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს, შპს "ბინული 1"-ს, შპს "ი თი აი"-ს და შპს "L ოილ"-ს დაეკისრათ **ჯარიმა - ჯამში 54 698 329 ლარის ოდენობით**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის **მე-7 მუხლის პირველი ნაწილის "ა"** ქვეპუნქტის დარღვევისთვის შპს "ლუკოილ ჯორჯია"-სა და შპს "რომპეტროლ საქართველო"-სთან ფრენშაიზინგის/ქველიცენზიის ხელშეკრულებების შესაბამისად მომუშავე **22 ეკონომიკურ აგენტს დაეკისრათ ჯარიმა 200 ლარის ოდენობით**

2.1. დასრულებული მოკვლევები

საავიაციო ნავთის სასაქონლო ბაზრის მოკვლევა

(2015 წლის 11 სექტემბრის №131 ბრძანება)

<u>შედეგები:</u>

საავიაციო ნავთის სასაქონლო ბაზრის მოკვლევის შედეგად ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს **კანონის დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა**

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს (საქართველოს მთავრობას და სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს) და შესაბამის ეკონომიკური აგენტებს წარედგინათ **რეკომენდაციები** შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით

2.1. დასრულებული მოკვლევები

შპს „ინტერტექნიკსი“-ს განცხადების საფუძველზე განხორციელებული საქმის მოკვლევა
(2015 წლის 7 აგვისტოს №113 ბრძანება)

<u>დავის საგანი:</u>

სახელმწიფო ტენდერებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

<u>დადგინდა:</u>

შემსყიდველი ორგანიზაციების, კერძოდ - აბაშის, ასპინძის და ხაშურის მუნიციპალიტეტების გამგეობებისა და ა(ა)იპ ,,თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“-ს მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი

<u>გადაწყვეტილება:</u>

აბაშის, ასპინძის და ხაშურის მუნიციპალიტეტების გამგეობებს დაევალათ მიწის სათხრელი და სახაპავი მანქანების, ასევე სხვა მსგავსი ტექნიკის სახელმწიფო შესყიდვის დროს კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა და შესაბამისი ინფორმაციის სააგენტოსათვის მიწოდება

საქართველოს მთავრობას, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და **შემსყიდველ ორგანიზაციებს** წარედგინათ **რეკომენდაციები** შესაბამის ბაზარზე თანაბარკონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით

2.1. დასრულებული მოკვლევები

პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია „გლობალაგრო“-ს განცხადების საფუძველზე განხორციელებული მოკვლევა (2015 წლის 21 ოქტომბრის №155 ბრძანება)

<u>**დავის საგანი:**</u>

შპს „აგროსისტემები“-ს, შპს „კარმენი -k”-სა და შპს „კარმენი“-ს (ურთიერთდამოკიდებულ პირები) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის (დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) შესაძლო დარღვევა

<u>**დადგინდა:**</u>

შპს „აგროსისტემები“-ს, შპს „კარმენი - k”-სა და შპს „კარმენი“-ს დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე

<u>**არ გამოიკვეთა:**</u>

შპს „აგროსისტემები“-ს, შპს “კარმენი“-ს, შპს „კარმენ K”-ს ცალსახა კონკურენტული უპირატესობა სხვა ძირითად კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებთან მიმართებით და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის **მე-6 მუხლის დარღვევის ნიშნები და წინაპირობები**

საქართველოს მთავრობას წარედგინა **რეკომენდაცია** შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით

2.1. დასრულებული მოკვლევები

შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია“-ს საჩივრის საფუძველზე განხორციელებული მოკვლევა
(2015 წლის 12 ოქტომბრის №148 ბრძანება)

<u>დავის საგანი:</u>

შპს „ტრანს კაუკასუს ტერმინალსი“-ს მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

<u>მოკვლევის შედეგი:</u>

არ გამოიკვეთა შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალს“-ის დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე

არ დადასტურდა შპს „ტრანს კაუკასუს ტერმინალსი“-ს მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი

საქართველოს მთავრობასა და **შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალს“-ს** წარედგინათ **რეკომენდაციები** შესაბამის მომსახურების ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით

2.1. დასრულებული მოკვლევები

ა(ა)იპ ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ განცხადების საფუძველზე საავტომობილო გაზის ბაზარზე განხორციელებული მოკვლევა
(2015 წლის 30 ოქტომბრის №1162 ბრძანება)

<u>დავის საგანი:</u>

საავტომობილო გაზის რეალიზატორი კომპანიების სავარაუდო შეთანხმების საფუძველზე საავტომობილო გაზის საცალო ფასის დადგენის შედეგად „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევა

<u>მოკვლევის შედეგი:</u>

არ დადასტურდა საავტომობილო გაზის რეალიზატორი ეკონომიკური აგენტების მხრიდან ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის **მე-7 მუხლის დარღვევის ფაქტი**

რეკომენდაციები წარედგინა საქართველოს მთავრობას, სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობისა და სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოებს,
შპს ,,სოკარ ენერჯი ჯორჯია“-ს და ა(ა)იპ ,,საქართველოში ბუნებრივი აირით მოსარგებლეთა გაერთიანება“-ს

2.1. დასრულებული მოკვლევები

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“-ს ტერიტორიაზე ეკონომიკურ აგენტთა დომინირებული მდგომარეობის შესაძლო ბოროტად გამოყენებისა და საქართველოს შავი ზღვის პორტებში ნავთობტერმინალთა საქმიანობის ქვეყნის კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა
(2015 წლის 30 დეკემბრის №202 ბრძანება)

<u>**მოკვლევის დაწყების საფუძველი:**</u>
სააგენტოს ინიციატივა

<u>**მოკვლევის შედეგები:**</u>
დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება არ დადასტურდა

2.2. განხილული კონცენტრაციები

2015 წელს სსიპ კონკურენციის სააგენტოში წარმოდგენილი იქნა კონცენტრაციის შესახებ ოთხი შეტყობინება/განცხადება:

- შპს „ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია“-ს მიერ შპს „თბილცემენტ გრუპი“-ს სასაქონლო ბეტონის წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების (საოპერაციო აქტივების) შეძენის შესახებ
- სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“-ს მიერ შპს“დეკა“- ს 95%-იანი წილის შეძენის შესახებ
- სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“-ს მიერ შპს „გნ კო“-ს 50%-იანი წილის შეძენის შესახებ
- ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრი“-ს განცხადება შპს „ნიკორა ტრეიდი“-ს მიერ შპს „ნუგეში“-ს 100%-იანი წილის შეძენის კანონიერებისა და საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ

2.2. განხილული კონცენტრაციები

შეტყობინება შპს „ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია“-ს მიერ შპს „თბილცემენტ გრუპი“-ს სასაქონლო ბეტონის წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების (საოპერაციო აქტივების) შეძენის შესახებ (2015 წლის 9 ივნისის №67 ბრძანება)

<u>შედეგი:</u>

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ 2014 წელს და 2015 წლის მაისის ჩათვლით, ბეტონის სასაქონლო ბაზარი ზომიერად კონცენტრირებული იყო. შერწყმის შედეგად, ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი გაიზარდა, თუმცა შეინარჩუნა ზომიერი სიდიდე. იმის დასადგენად, შერწყმა შეზღუდავდა თუ არა ეფექტიან კონკურენციას, წილობრივი და ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლების გარდა, სააგენტომ შეაფასა ბაზრის შედეგიანობა, როგორც საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ქცევის შედეგი შემდეგი ინდიკატორების საფუძველზე: პროდუქციის ფასები, მოგების სიდიდე, მიღებული პროდუქციის ხარისხი, წარმოებისა და გაყიდვის ხარჯები, ტექნიკური პროგრესი

შპს „ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია“-ს მიერ შპს „თბილცემენტ გრუპი“-ს სასაქონლო ბეტონის წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების (საოპერაციო აქტივების) შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნა კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად

2.2. განხილული კონცენტრაციები

შეტყობინება სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“-ს მიერ შპს “დეკა“- ს 95%-იანი წილის შეძენის შესახებ

წარმოდგენილი შეტყობინების თანახმად, დაგეგმილი კონცენტრაციის საფუძველზე სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ იძენდა შპს „დეკა“-ს 95%-იან წილს

<u>შედეგი:</u>

კონცენტრაციის შესახებ წარმოდგენილი შეტყობინება სააგენტომ განუხილველად დატოვა, რადგან კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც ინდივიდუალური, ისე ერთობლივი აქტივების ღირებულებისა და წლიური ბრუნვის გათვალისწინებით, კომპანიები გათავისუფლებულნი იყვნენ სააგენტოში შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულებისაგან

2.2. განხილული კონცენტრაციები

შეტყობინება სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“-ს მიერ შპს „გნ კო“-ს 50%-იანი წილის შეძენის შესახებ

(2015 წლის 28 ივნისის № 95 ბრძანება)

<u>**შედეგი:**</u>

შეტყობინების განხილვის დროს სააგენტოს მიერ გამოკვეთილ იქნა ორი ძირითადი ბაზარი - <u>სტაციონარული და ამბულატორიული</u> მომსახურების ბაზრები

სტაციონარული მომსახურების ბაზარზე ძირითადი პროფილური მიმართულებების მიხედვით განისაზღვრა 5 შესაბამისი ბაზარი: თერაპიული, ქირურგიული, მეანობა-გინეკოლოგია, ნეიროქირურგია და რეანიმაცია

ამბულატორიულ ნაწილში ბაზარზე წილები და კონცენტრაციის დონე გამოთვლილ იქნა დაწესებულებათა წლიური ბრუნვების, ხოლო სტაციონარულ ნაწილში - საწოლთა რაოდენობის (ე.წ. საწოლ-ფონდების) მიხედვით

2.2. განხილული კონცენტრაციები

შეტყობინება სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“-ს მიერ შპს „გნ კო“-ს 50%-იანი წილის შეძენის შესახებ

(2015 წლის 28 ივნისის № 95 ბრძანება)

<u>გადაწყვეტილება:</u>

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“-ს მიერ შპს „გნ კო“-ს 50%-იანი წილის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნა კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად

რამდენადაც კონცენტრაციის შემდეგ სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ მოიპოვებდა დომინირებულ მდგომარეობას ნეიროქირურგიული მომსახურების ბაზარზე, **მას დაევალა** ყოველი მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე, სსიპ კონკურენციის სააგენტოსთვის ინფორმაციის წარდგენა იმ გარიგებების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეზღუდონ კონკურენცია შესაბამის ბაზარზე

2.2. განხილული კონცენტრაციები

ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრი“-ს განცხადება შპს „ნიკორა ტრეიდი“-ს მიერ შპს „ნუგეში“-ს 100%-იანი წილის შეძენის კანონიერებისა და საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ

<u>საგენტოში შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულება:</u>

შპს „ნიკორა ტრეიდი“-სა და „ნუგეში“-ს წლიური ბრუნვა, როგორც ცალ-ცალკე ისე ერთობლივად, საქართველოს ტერიტორიაზე, კონცენტრაციის წინა ფინანსური (2014) წლის მონაცემების გათვალისწინებით, აღემატებოდა კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ოდენობას, რაც კანონის მე-11[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, **საგენტოსთვის კონცენტრაციის შესახებ წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველს წარმოადგენდა.**

შპს „ნიკორა ტრეიდი“, წილების შეძენის მომენტში, უკვე აკონტროლებდა ერთ ეკონომიკურ აგენტს. შესაბამისად, დაკმაყოფილებული იყო ყველა ფორმალური მოთხოვნა, რაც კონცენტრაციის მონაწილე სუბიექტებს, ხსენებული კონცენტრაციის განხორციელებამდე, საგენტოს წინასწარი თანხმობის მიღების აუცილებლობას ავალდებულებდა

აღნიშნულ განცხადებაზე საგენტოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2016 წელს

2.3. ბაზრის მონიტორინგი

ყავის სასაქონლო ბაზრის მონიტორინგი

2014 წლის ნოემბრიდან, კონკურენციის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესაძლო ფაქტების გამოვლენისა და შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, დაიწყო ყავის სასაქონლო ბაზრის შესწავლა (მონიტორინგი), რომელიც დასრულდა 2015 წელს

კონკურენციის სააგენტოს მიერ ყავის სასაქონლო ბაზარზე განხორციელებული მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა ამ ბაზარზე არსებული ზოგადი მდგომარეობის მიმოხილვა, ბაზრების მოცულობის განსაზღვრა, არსებული კონკურენტული გარემოს შეფასება და გასატარებელი ღონისძიებების შემუშავება

2.3. ბაზრის მონიტორინგი

ყავის სასაქონლო ბაზრის მონიტორინგი

შედეგები:

ბაზრის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, კონკურენციის სააგენტომ განსაზღვრა ყავის ორი ძირითადი ბაზარი - ნალექიანი და ხსნადი ყავის ბაზრები.

სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა შესაბამის სასაქონლო ბაზარზე 2008 წლიდან 2015 წლის ივნისის ჩათვლით არსებული მდგომარეობა. შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ყავის (ხსნადი/ნალექიანი) სასაქონლო ბაზრებზე დამაკმაყოფილებელი კონკურენტული გარემო იყო (ნალექიანი ყავის ბაზარი - დაბალკონცენტრირებული, ხსნადი ყავის ბაზარი - ზომიერად კონცენტრირებული)

შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით სააგენტომ სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს **რეკომენდაციები წარუდგინა**

2.4. სახელმწიფო დახმარება

განცხადება სახელმწიფო დახმარების გაცემის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 18 დეკემბრის განცხადება - 2016 წლის ბიუჯეტიდან ა(ა)იპ „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრი“-სთვის 170 000 ლარის ოდენობის სახელმწიფო დახმარების გაცემის თაობაზე

- სსიპ „თვითმმართველი თემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტი“-ს მიერ 2015 წელს სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედი ა(ა)იპ „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრი“-ს მიმართ გაცემულმა სახელმწიფო დახმარებამ შეადგინა 183 000 ლარი. 2016 წელს დაგეგმილი იყო 170 000 ლარის გაცემა. ვინაიდან ორი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის მიმართულებით გაცემული სახელმწიფო დახმარება ჯამურად გადააჭარბებს 200 000 ლარს, ასეთი სახის დახმარება აღემატება საქართველოს მთავრობის №529 დადგენილებით განსაზღვრულ სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს წარმოეშვა სახელმწიფო დახმარების გაცემამდე სსიპ - კონკურენციის სააგენტოში განცხადების წარმოდგენის ვალდებულება

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2016 წელს

2.5. გაცემული რეკომენდაციები

სააგენტომ შესაბამის ბაზრებზე არსებული კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ეკონომიკური აგენტების მიმართ გასცა რეკომენდაციები.

(გაცემულ იქნა **30**-ზე მეტი რეკომენდაცია)



2.5. გაცემული რეკომენდაციები



2.5. გაცემული რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული რეკომენდაციები

- შპს „გლობალაგრო“-ს განცხადების შესაბამისად წარმოებული მოკვლევა

- შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის განცხადების შესაბამისად წარმოებული მოკვლევა

- საავტომობილო საწვავის სასაქონლო ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტზე წარმოებული მოკვლევა

- საავიაციო ნავთის სასაქონლო ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტზე წარმოებული მოკვლევა

2.5. გაცემული რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული რეკომენდაციები

- შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია“-ს საჩივრის შესაბამისად წარმოებული მოკვლევა

- საავტომობილო გაზის რეალიზატორი კომპანიების სავარაუდო შეთანხმების ფაქტზე წარმოებული მოკვლევა

- აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის მიერ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტზე დასმული საკითხების შესწავლა

- შპს ,,მათემოტორსი“-სა და შპს "სტრადა მოტორსი"-ს მიერ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტზე დასმული საკითხების შესწავლა

2.5. გაცემული რეკომენდაციები

სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოების მიმართ გაცემული რეკომენდაციები

- შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთის“ განცხადების შესაბამისად წარმოებული მოკვლევა (შემოსავლების სამსახურს)

- სს „ჯანმრთელობას“ განცხადების შესაბამისად წარმოებული მოკვლევა (შემოსავლების სამსახურს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს)

- შპს „ინტერტექნიკსის“ განცხადების შესაბამისად წარმოებული მოკვლევა (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, მუნიციპალიტეტებს)

- საავიაციო ნავთის სასაქონლო ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მხრიდან "კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტზე წარმოებული მოკვლევა (სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს)

2.5. გაცემული რეკომენდაციები

სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოების მიმართ გაცემული რეკომენდაციები

- საავტომობილო გაზის რეალიზატორი კომპანიების სავარაუდო შეთანხმების ფაქტზე წარმოებული მოკვლევა (ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს)

- ყავის ბაზრის მონიტორინგი (სურსათის ეროვნულ სააგენტოს)

- აგროდაზღვევასთან დაკავშირებული საკითხების კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა (სოფლის მეურენობის პროექტების მართვის სააგენტოს)

- შპს ,,მათემოტორსი“-ს და შპს "სტრადა მოტორსი"-ს მიერ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტზე დასმული საკითხების შესწავლა (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს)

2.5. გაცემული რეკომენდაციები

ეკონომიკური აგენტების მიმართ გაცემული რეკომენდაციები

- სს „ჯანმრთელობას“ განცხადების შესაბამისად წარმოებული მოკვლევა (სს „ბალნეოსერვისს“)

- საავტომობილო საწვავის სასაქონლო ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტზე წარმოებული მოკვლევა (ნავთობის იმპორტიორ კომპანიებს)

- საავიაციო ნავთის სასაქონლო ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტზე წარმოებული მოკვლევა (შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“, შპს „ჯორჯიან პეტროლეუმს“ და ბაზარზე მოქმედ სხვა ეკონომიკურ აგენტებს)

2.5. გაცემული რეკომენდაციები

ეკონომიკური აგენტების მიმართ გაცემული რეკომენდაციები

- შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია“-ს საჩივრის შესაბამისად წარმოებული მოკვლევა (შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალსს)

- საავტომობილო გაზის რეალიზატორი კომპანიების სავარაუდო შეთანხმების ფაქტზე წარმოებული მოკვლევა (შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას და ა(ა)იპ ბუნებრივი აირით მოსარგებლეთა გაერთიანებას)

- სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“-ს მიერ შპს „გნ კო“-ს 50%-იანი წილის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია (სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსს)

EVEX
Medical Corporation

2.6. სასამართლო დავები

2015 წელს დასრულდა სასამართლო დავა, რომელიც მიმდინარეობდა სსიპ - შემოსავლების სამსახურის სარჩელის საფუძველზე

<u>**დავის საგანი:**</u>

სააგენტოს გადაწყვეტილება - შემოსავლების სამსახურის მიერ ქ. ფოთში **საავტომობილო-საკონტეინერო ტვირთების სატერმინალო მომსახურების ბაზარზე** „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტის დადასტურების შესახებ

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, შემოსავლების სამსახურის სარჩელი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება

2.6. სასამართლო დავები

2015 წელს დაიწყო და მიმდინარეობდა 8 სასამართლო დავა, ნავთობკომპანიების სარჩელების საფუძველზე

დავის საგანი

სააგენტოს მიერ დამტკიცებული გადაწყვეტილება (2015 წლის 14 ივლისის N81 ბრძანება) - ნავთობკომპანიების მიერ „კონკურენციის შესახებ"“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევის ფაქტზე სანქციის სახით ჯამში **54 698 329** ლარის დაკისრება

3. საერთაშორისო ურთიერთობები

საერთაშორისო ურთიერთობები ემსახურება

1. უცხოელ კოლეგებთან კონტაქტების დამყარებას
2. სააგენტოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას
3. სხვადასხვა ქვეყნის მოკვლევების განხილვას და ქართულ რეალობასთან მორგებას
4. საერთაშორისო სტანდარტების დაცვას

3.1. ევროკავშირთან თანამშრომლობა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში (DCFTA)

2015 წლის DCFTA-ით აღებული ვალდებულებები სრულად შესრულდა კონკურენციის სააგენტოს მიერ

ვალდებულება №291

- ჩატარდა **12 ტრენინგი** კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებისთვის

ვალდებულება №292

- საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლების კუთხით კონკურენციის პოლიტიკის სხვადასხვა თემაზე ჩატარდა **2 ტრენინგი** (GIZ, TAIEX)

ვალდებულება №293

- 22 – 24 სექტემბერს თბილისში საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და უნგრეთის კონკურენციის ორგანოს (OECD – GVH RCC) მიერ გაიმართა საერთაშორისო სემინარი თემაზე: „პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებები კარტელის შემთხვევებში“

3.2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოეთის კონკურენციის სააგენტოებთან თანამშრომლობა



3.2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოეთის კონკურენციის სააგენტოებთან თანამშრომლობა

International Competition Network

ICN-ში გაწევრიანებულია მსოფლიოს ყველა ქვეყნის კონკურენციის ორგანო



3.2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოეთის კონკურენციის სააგენტოებთან თანამშრომლობა

საერთაშორისო კონკურენციის ქსელის (ICN) მიერ ორგანიზებული ღონისძიებები

2015 წლის 28 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით ქ. სიდნეიში გამართულ საერთაშორისო კონკურენციის ქსელის (ICN) წლიურ კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღო სააგენტოს ორმა წარმომადგენელმა, სადაც 70 ქვეყნიდან ესწრებოდა 500-ზე მეტი ადამიანი

2015 წლის 19 -21 ოქტომბერს კარტახენაში, კოლუმბია გამართულ კარტელის სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღო სააგენტოს ერთმა წარმომადგენელმა

2015 წლის 24 – 25 სექტემბერს ბრიუსელში გამართულ შერწყმის სამუშაო შეხვედრაზე სააგენტოს ერთმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა

3.2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოეთის კონკურენციის სააგენტოებთან თანამშრომლობა

სოფიას კონკურენციის ფორუმი

SCF
Sofia Competition Forum

ფორუმის წევრები →

ბულგარეთი, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNCTAD), ალბანეთი, ხორვატია, ბოსნია - ჰერცოგოვინა, კოსოვო, მონტენეგრო, მაკედონიის რესპუბლიკა, სერბეთი

კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენელმა სოფიას კონკურენციის მეშვიდე ფორუმში მიიღო მონაწილეობა, რომელიც 2015 წლის 12 ნოემბერს გაიმართა

3.2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოეთის კონკურენციის სააგენტოებთან თანამშრომლობა

ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია

ასოცირების წევრი ქვეყნები → შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტეინი

EFTA-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების შედეგად საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას დამატებით 4 ქვეყნის 12 მილიონიანი ბაზარი გაეხსნება

კონკურენციის საკითხებზე შეთანხმება მიღწეულია

3.2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოეთის კონკურენციის სააგენტოებთან თანამშრომლობა

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია - უნგრეთის კონკურენციის რეგიონალური ცენტრი

RCC OECD-GVH

Regional Centre for Competition in Budapest (Hungary)

2015 წლის 22 – 24 სექტემბერს თბილისში საერთაშორისო სემინარი ჩატარდა თემაზე „პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებები კარტელის შემთხვევაში“

OECD-GVH RCC-ის საერთაშორისო აქტივობები → 3 სემინარში მონაწილეობა → კვალიფიკაციის ამაღლება

3.2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოეთის კონკურენციის სააგენტოებთან თანამშრომლობა

საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და ლიტვის რესპუბლიკის კონკურენციის საბჭოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება

ხელი მოეწერა 2015 წლის 16 დეკემბერს

მიზანი

ხელი შეუწყოს მხარეებს შორის კონკურენციის სამართლის აღსრულების სფეროში თანამშრომლობას, ერთობლივი ღონისძიებების, ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების მეშვეობით

LIETUVOS RESPUBLIKOS
KONKURENCIJOS TARYBA

3.2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოეთის კონკურენციის სააგენტოებთან თანამშრომლობა

European Bank
for Reconstruction and Development

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი



3.3. კვალიფიკაციისა და ცნობიერების ამაღლება

სააგენტოს 30-მდე თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგში



საჯარო სამართლის იურიდიული პირი კონკურენციის სააგენტო

მის: ქ. თბილისი 0102, დ. აღმაშენებლის გამზირი N154
ელ-ფოსტა: competitioninfo@geo.gov.ge
ტელ: (032) 2990 900 (შიდა 21-74)
ვებ-გვერდი: www.competition.ge